ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №9/106 CPV 18500000

(საქონლის შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით წარმომადგენლობითი ხარჯებიდან)

ქ. თბილისი 27 სექტემბერი 2016წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „სტუდიო არტ" (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), წარმოდგენილი დირექტორის აკაკი დავითულიანის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის ეკა ეკალაძის მოხსენებითი ბარათი #2162, 22,09,2016წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ნახატი ტილო-ზეთი „ზარდახშა" 60*80 (ავტორი ოლეგ ტიმჩენკო)

2. საქონლის მიწოდების წესი და ღირებულება

2.1. მიწოდების ვადაა 2 (ორი) დღე მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათასი) ლარს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.
2.4.ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის" და „მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.
3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს" წარედგინება ანგარიშსწორებისათვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1.ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2.ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:
5.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
5.2.2 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
5.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული საქონლის ხარისხზე.
5.3.2 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
5.3.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შეუსრულებელი ვალდებულების 10% -ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
6.3. საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი ეკა ეკალაძe.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
თბილისის სახელმწიფო	შპს სტუდიო არტ“
სამედიცინო უნივერსიტეტი	ქ. თბილისი, აბაშიძის 21
ვაჟა ფშაველას გამზ.№33	საიდენტიფიკაციო ნომერი 405119483
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703	სს „საქართველოს ბანკი“ კოდი BACABGE22
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	ა/ა GE84BG000 0000 577 941 400
ა/ა GE24 NB 0330100200165022	
თსსუ-ს კანცლერი	შპს „სტუდიო არტ “-ის დირექტორი
ზურაბ ორჯონიკიძე	აკაკი დავითაია
---	---